## კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №3
**2020 წლის 20 მარტი**

ქ. კასპი

**„კასპის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი დ ა მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„კასპის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №29 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 26/12/2019 190020020.35.149.016418) დამტკიცებული დანართი №1-ი, შეიცვალოს ახალი №1 დანართით;

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — დავით ლეონიძე

დანართი №1

**კასპის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი**

**თავი I**

**კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებელი**

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| I. შემოსავლები | 15,666.9 | 20,836.1 | 12,989.7 | 7,846.4 | 21321.0 | 15008.3 | 6,312.7 |
| გადასახადები | 5,213.1 | 10,892.5 | 10,892.5 | | 12,603.1 | 12,603.1 | |
| გრანტები | 7,588.3 | 7,846.4 | | 7,846.4 | 6,312.7 | | 6,312.7 |
| სხვა შემოსავლები | 2,865.5 | 2,097.2 | 2,097.2 | | 2405.2 | 2,405.2 | |
| II. ხარჯები | 8,355.7 | 10,007.0 | 10,007.0 | - | 10448.3 | 10374.3 | 74.0 |
| შრომის ანაზღაურება | 1,363.6 | 1,478.9 | 1,478.9 | - | 1,671.6 | 1,671.6 | - |
| საქონელი და მომსახურება | 1,073.2 | 1,313.5 | 1,313.5 | - | 1426.0 | 1426.0 | - |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროცენტი | 176.6 | 141.9 | 141.9 | - | 123.3 | 123.3 | - |
| სუბსიდიები | 4,838.6 | 5,850.5 | 5,850.5 | - | 5,897.2 | 5,823.2 | 74.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 675.4 | 912.8 | 912.8 | - | 1,017.0 | 1,017.0 | - |
| სხვა ხარჯები | 228.4 | 265.4 | 265.4 | - | 313.2 | 313.2 | - |
| III. საოპერაციო სალდო | 7,311.2 | 10,829.1 | 2,982.7 | 7,846.4 | 10872.7 | 4634.0 | 6,238.7 |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება | 4,376.9 | 13,867.1 | 5,632.3 | 8,234.8 | 12093.8 | 5742.0 | 6351.8 |
| ზრდა | 4,418.3 | 13,887.1 | 5,652.3 | 8,234.8 | 12113.8 | 5762.0 | 6351.8 |
| კლება | 41.4 | 20.0 | 20.0 | - | 20.0 | 20.0 | - |
| V. მთლიანი სალდო | 2,934.2 | - 3,038.0 | - 2,649.6 | - 388.4 | 1221.1 | 1108.0 | 113.1 |
| VI. ფინანსური აქტივების ცვლილება | 2,823.3 | - 3,182.0 | - 2,793.6 | - 388.4 | 1403.1 | 1290.0 | 113.1 |
| ზრდა | 2,823.3 | - | - | - | - | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | 2,823.3 | - | - | - | - | - | - |
| კლება | - | 3,182.0 | 2,793.6 | 388.4 | 1403.1 | 1290.0 | 113.1 |
| ვალუტა და დეპოზიტები | - | 3,182.0 | 2,793.6 | 388.4 | 1403.1 | 1290.0 | 113.1 |
| VII. ვალდებულებების ცვლილება | - 111.0 | - 144.0 | - 144.0 | - | - 182.0 | - 182.0 | - |
| კლება | 111.0 | 144.0 | 144.0 | - | 182.0 | 182.0 | - |
| საშინაო | 111.0 | 144.0 | 144.0 | - | 182.0 | 182.0 | - |
| სესხები | 111.0 | 144.0 | 144.0 | - | 182.0 | 182.0 | - |
| VIII. ბალანსი | - 0.0 | - 0.0 | 0.0 | - | - 0.0 | - | - |

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| შემოსულობები | 15,708.3 | 20,856.1 | 13,009.7 | 7,846.4 | 21341.0 | 15028.3 | 6,312.7 |
| შემოსავლები | 15,666.9 | 20,836.1 | 12,989.7 | 7,846.4 | 21321.0 | 15008.3 | 6,312.7 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 41.4 | 20.0 | 20.0 | | 20.0 | 20.0 | |
| გადასახდელები | 12,885.0 | 24,038.1 | 15,803.3 | 8,234.8 | 22744.1 | 16318.3 | 6425.8 |
| ხარჯები | 8,355.7 | 10,007.0 | 10,007.0 | - | 10448.3 | 10374.3 | 74.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,418.3 | 13,887.1 | 5,652.3 | 8,234.8 | 12113.8 | 5762.0 | 6351.8 |
| ვალდებულებების კლება | 111.0 | 144.0 | 144.0 | - | 182.0 | 182.0 | - |
| ნაშთის ცვლილება | 2,823.3 | - 3,182.0 | - 2,793.6 | - 388.4 | 1403.1 | 1290.0 | 113.0 |

## მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 21321,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| შემოსავლის სახეები | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| შემოსავლები | 15,666.9 | 20,836.1 | 21321.0 |
| გადასახადები | 5,213.1 | 10,892.5 | 12,603.1 |
| გრანტები | 7,588.3 | 7,846.4 | 6,312.7 |
| სხვა შემოსავლები | 2,865.5 | 2,097.2 | 2,405.2 |

## მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 12603,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| შემოსავლის სახეები | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| გადასახადები, მათ შორის: | 5,213.1 | 10,892.5 | 12,603.1 |
| საშემოსავლო გადასახადი | 820.2 | | |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | | 5,382.5 | 7,103.1 |
| ქონების გადასახადი | 4,392.9 | 5,510.0 | 5,500.0 |
| საწარმოთა ქონებაზე | 3,477.1 | 4,780.0 | 4,790.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე | 43.2 | 30.0 | 10.0 |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 366.8 | 250.0 | 250.0 |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 505.8 | 450.0 | 450.0 |

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები (ტრანსფერები)

ბიუჯეტის შემოსავლები გრანტებიდან განისაზღვროს 6312,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| შემოსავლის სახეები | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის: | 7,588.3 | 7,846.4 | 6,312.7 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან | 9.9 | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| გრანტები (ტრანსფერები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან: | 7,578.4 | 7,846.4 | 6,312.7 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 3,546.0 | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისსათვის | 175.0 | 175.0 | 175.0 |
| კაპიტალური ტრანსფერი რეგიონალური ფონდიდან | 3,697.7 | 5,879.0 | 5,203.7 |
| სპეციალური ტრანსფერი; მათ შორის: | 159.7 | 1,792.4 | 934.0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 934.0 | 934.0 |
| სხვა სპეციალური ტრანსფერები | 159.7 | 858.4 | |

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2405.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| შემოსავლის სახეები | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები, მათ შორის:** | **2,865.5** | **2,097.2** | **2,405.2** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **557.3** | **540.0** | **520.0** |
| **პროცენტები** | **105.1** | **120.0** | **100.0** |
| **რენტა** | **452.2** | **420.0** | **420.0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 438.1 | 415.0 | 415.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან | 14.1 | 5.0 | 5.0 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **204.7** | **155.2** | **155.2** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **196.5** | **150.2** | **150.2** |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.6 | 0.2 | 0.2 |
| მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის | 159.1 | 130.0 | 130.0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 36.8 | 20.0 | 20.0 |
| **არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები** | **8.2** | **5.0** | **5.0** |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 8.2 | 5.0 | 5.0 |
| **სანქციები, ჯარიმები და საურავები** | **2,074.9** | **1,350.0** | **1,700.0** |
| შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო | 2,019.9 | 1,350.0 | 1,700.0 |
| სხვა შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან | 55.1 | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **28.5** | **52.0** | **30.0** |
| შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან | 16.0 | 52.0 | 30.0 |
| წინა წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები | 12.5 | | |

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 10448,3 ლარის ოდენობით. მათ შორის:

| ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| ხარჯები | 8,355.7 | 10,007.0 | 10,007.0 | - | 10,448.3 | 10,374.3 | 74.0 |
| შრომის ანაზღაურება | 1,363.6 | 1,478.9 | 1,478.9 | - | 1,671.6 | 1,671.6 | - |
| საქონელი და მომსახურება | 1,073.2 | 1,313.5 | 1,313.5 | - | 1,426.0 | 1,426.0 | - |
| პროცენტები | 176.6 | 141.9 | 141.9 | - | 123.3 | 123.3 | - |
| სუბსიდიები | 4,838.6 | 5,850.5 | 5,850.5 | - | 5,897.2 | 5,823.2 | 74.0 |
| გრანტები | - | 44.0 | 44.0 | - | - | - | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 675.4 | 912.8 | 912.8 | - | 1,017.0 | 1,017.0 | - |
| სხვა ხარჯები | 228.4 | 265.4 | 265.4 | - | 313.2 | 313.2 | - |

## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 12093.8 ათასი ლარით, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა 12113.8 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება 20,0 ათასი ლარის ოდენობით:

| პროგ. კოდი | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **11.4** | **39.0** | **2,582.6** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 11.4 | 39.0 | 49.0 |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **4,364.5** | **12,321.6** | **8759.7** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2,916.1 | 5,059.5 | 5536.7 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 299.5 | 2,305.2 | 1290.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02 03 | გარე განათება | 243.9 | 292.0 | 30.0 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 47.6 | 300.0 | 64.0 |
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 103.9 | 1,466.3 | 1,034.0 |
| 02 08 | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | - | 560.0 | 90.0 |
| 02 09 | საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები | 202.7 | 1,087.9 | 640.0 |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **-** | **-** | **-** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | - | - | - |
| 03 03 | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | - | - | - |
| **04 00** | **განათლება** | **10.1** | **1,317.8** | **2542.1** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა | 10.1 | 25.0 | 50.0 |
| 04 03 | ზოგადი განთლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა | - | 883.3 | 954.1 |
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **32.2** | **58.6** | **763.0** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 6.2 | 28.6 | 130.0 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 11.0 | 30.0 | 553.0 |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **-** | **150.1** | **-** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | - | 150.1 | - |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი** | **4,418.3** | **13,887.1** | **12113.8** |

| არაფინანსური აქტივების კლება სახეების მიხედვით | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება, ჯამი** | **41.4** | **20.0** | **20.0** |
| ძირითადი აქტივები | | | |
| არაწარმოებული აქტივები | 41.4 | 20.0 | 20.0 |

**მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**
ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივები ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2,309.6 | 2,418.8 | 2,654.9 |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2,131.9 | 2,276.9 | 2,531.6 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2,131.9 | 2,176.9 | 2,481.6 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | - | 100.0 | 50.0 |
| 7.1.6 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 177.6 | 141.9 | 123.3 |
| 7.2 | თავდაცვა | 95.6 | 101.0 | 101.0 |
| 7.2.2 | სამოქალაქო თავდაცვა | 95.6 | 101.0 | 101.0 |
| 7.4 | ეკონომიკური საქმიანობა | 2,923.2 | 5,144.5 | 5711.7 |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 2,923.2 | 5,144.5 | 5711.7 |
| 7.4 5 1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2,923.2 | 5,144.5 | 5711.7 |
| 7.5 | გარემოს დაცვა | 1,020.9 | 1,125.0 | 1,035.8 |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 1,020.9 | 1,125.0 | 1,035.8 |
| 7.6 | საბინაო კომუნალური მეურნეობა | 1,927.5 | 7,882.1 | 4044.6 |
| 7.6 1 | ბინათმშენებლობა | 38.8 | 140.0 | 70.0 |
| 7.6 2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 917.8 | 4,594.9 | 1903.0 |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 533.1 | 2,615.2 | 1672.4 |
| 7.6 4 | გარე განათება | 437.8 | 532.0 | 399.2 |
| 7.7 | ჯანმრთელობის დაცვა | 69.9 | 224.1 | 74.0 |
| 7.7 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 69.9 | 74.0 | 74.0 |
| 7.7 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | - | 150.1 | - |
| 7.8 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 2,050.2 | 2,677.5 | 3413.0 |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 757.5 | 1,081.0 | 1305.0 |
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1,240.5 | 1,495.0 | 2018.0 |
| 7.8 4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 52.2 | 101.5 | 90.0 |
| 7.9 | განათლება | 1,680.4 | 3,405.2 | 4582.1 |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 1,680.4 | 2,359.5 | 3628.0 |
| 7.9 2 | ზოგადი განათლება | - | 1,045.7 | 954.1 |
| 7.9 2 3 | საშუალო ზოგადი განათლება | - | 1,045.7 | 954.1 |
| 7 10 | სოციალური დაცვა | 696.8 | 915.9 | 1,020.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 10 1 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 675.6 | 906.8 | 1,010.0 |
| 7 10 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 21.2 | 9.1 | 10.0 |
| | სულ | 12,774.1 | 23,894.1 | 22637.1 |

**მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**
ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 10872,7 ათასი ლარით, მთლიანი სალდო განისაზღვროს 723,0 ათასი ლარით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| საოპერაციო სალდო | 7,311.2 | 10,829.1 | 10872.7 |
| მთლიანი სალდო | 2,934.2 | - 3,038.0 | 1221.1 |

**მუხლი 11. ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**
ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 1403,1 ათასი ლარით, მათ შორის:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **2,823.3** | **- 3,182.0** | **1403.1** |
| **ზრდა** | **2,823.3** | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტი | 2,823.3 | - | - |
| **კლება** | - | **3,182.0** | **1403.1** |
| ვალუტა და დეპოზიტი | - | 3,182.0 | 1403.1 |

**მუხლი 12. ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**
ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 182,0 ათასი ლარით, მათ შორის:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების ცვლილება | - | - **144.0** | - **182.0** |
| კლება | - | - | - |
| საშინაო | - | - | - |

| | | | |
|---|---|---|---|
| სესხები | 111.0 | 144.0 | 182.0 |

## თავი II
## კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

### მუხლი 13.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 9681.3 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **9681.3** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 5636.7 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 1672.4 |
| 02 02 01 | წყლის სისტემების ექსპლოატაცია | 382.4 |
| 02 02 01 01 | წყლის სისტემების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება | 150.0 |
| 02 02 01 02 | წყლის სისტემების მოვლა პატრონობა | 232.4 |
| 02 02 02 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 1290.0 |
| 02 03 | გარე განათება | 399.2 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 399.2 |
| 02 03 01 01 | გარე განათების ქსელზე მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება | 280.0 |
| 02 03 01 02 | გარე განათების ქსელის მოვლა პატრონობა | 89.2 |
| 02 03 02 | კაპიტალური დაბანდება გარე განათების სფეროში | 30.0 |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 70.0 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 64.0 |
| 02 06 01 | ბაღების და სკვერების მოვლა | 56.0 |
| 02 06 02 | მგზავრთა მისაცდელების მოვლა შენახვა | 8.0 |
| 02 06 03 | ფასადების და სხვა ნაგებობების აღდგენის სამუშაოები | |
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 1,034.0 |
| 02 08 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლოატაცია | 90.0 |
| 02 09 | საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი | 640.0 |
| 02 10 | საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია | 75.0 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 01 01 | | 100.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოტაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს.<br><br>სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (**მათ შორის, ბზარების შევსებას ბითუმით ან ემულსიით, ე.წ. ორმული შეკეთებას, ნაგებობების ცალკეული ელემენტების შეკეთებას,ლითონის ცხაურების, თვალამრიდების და სხვა საგზაო ელემენტების გასწორებას, გზისპირა კიუვეტების და მილების გაწმენდას, სიჩქარის შემანელებელი ბორცვების მოწყობას**); არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 507 **კვ/მ** გზის მიმდინარე შეკეთება;<br><br>სამუშაოები განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც მოხდა ტექნიკური დათვალიერება და მოცულობების დადგენა, ან წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა<br><br>**ქ.კასპში კოსტავას, 26 მაისის, გურამიშვილის, მაზნიაშვილის, სააკაძის, რუსთაველის, დადიანის, კოჯორის, გრიშაშვილის, 300 არაგველის,თავისუფლების, მირიან მეფის, ქუთათელაძის, პაატას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების ახალციხე-ნოსტეს და ხოვლეს მისასვლელი გზები** | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | | |

შედეგის შეფასების ინდიკატორი

| № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გზების<br><br>სიგრძე, რომლებზე ჩატარდა სამუშაოები | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე<br><br>შეკეთება ჩაუტარდება<br><br>**235კვ/მ** გზას;<br><br>მათ შორის ასფალტირებული გზა **235კვ/მ**; | 2020 წელში ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე<br><br>შეკეთება ჩაუტარდება<br><br>1572 გრძ.მ<br><br>გზას, 313კვ.<br><br>მმ.შ. ასფალტირებულ<br><br>გზა 1117 გრძ.მ 194კვ.მ | | მიზნობრივი მაჩვენებელი დამოკიდებულია წლის<br><br>განმავლობაში დაზიანებული გზების რაოდენობასთან |
| 2 | შეკეთებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით<br><br>ისარგებლებს დაახლოებით **540** პირდაპირი და **2000** არაპირდაპირი ბენეფიციარი. | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით<br><br>ისარგებლებს დაახლოებით<br><br>**3600** პირდაპირი<br><br>და **1800** არაპირდაპირი | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ბენეფიციარი. სოფლების 2800 ბენეფიციარი | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი 02 01 02 | გზების კაპიტალური შეკეთება | დაფინანსება ათას ლარში 5636.7 |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების  კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია.<br><br>კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი 5 პროექტის განხორციელება, რომელიც ითვალოისწინებს ქ.კასპსა და კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის "რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან"  თანადაფინასებას<br><br>- ქ. კასპში კელაპტრიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია/მოასფალტების სამუშაოები 1100 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 200 ბენეფიციარი;<br><br>კასპის მუნიციპალიტეტში:<br>- სოფლების ვაკე-პანტიანის მისასვლელი/დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია/<br><br>მოასფალტების  სამუშაოები - 1800 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს  245 ბენეფიციარი;<br>- სოფლების ყარაფილა-სარიბარი-ზადიანთკარის გზების სარეაბილიტაციო<br><br>სამუშობები - 4200 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 250  ბენეფიციარი;<br>-სოფელ თელადგორის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია/მოასფალტების<br><br>სამუშაოები -2900 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 650 ბენეფიციარი.<br>-სოფელ ჩანგილართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია/მოასფალტების<br><br>სამუშაოები -2200 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 280 ბენეფიციარი.<br><br>გარდა აღნიშნული პროექტებისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დამატებითი სახრსებით, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილისახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილიეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პრიორიტეტული პროექტებიც.<br><br>პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობის,პრობლემის სიმძაფრის  და წლის განმავლობაში წარმოქმონილი გადაუდებებლიაუცილებლობის გათვალისწინებით. | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;<br><br>მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება;<br><br>ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება;<br>ტურიზმის ხელშეწყობა;<br>მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; | | |

| | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | გზების სიგრძე, სადაც<br><br>განხორციელდება | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში კაპიტალური რეაბილიტაცია ჯამში<br><br>ჩაუტარდება | 2020 წელს გზების სარეაბილიტაციო | | მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს ჩატარებული ტენდერის ეკონომიებისა და სხვა ფინანსური რესურსების |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | 1 | გზების<br><br>კაპიტალური შეკეთება/<br><br>რეაბილიტაცია | 12200 გრძ/მ<br><br>გზას; მათ<br><br>შორის ასფალტირებული გზა 1100 გრძ/მ; არასფალტირებული გზა - 11100 გრძ/მ | სამუშაობის შესრულება დაგეგმილია არანაკლებ 12000 გრძ/მ-ზე | 10% | მობილიზების ხარჯზე; ასევე მიზნობრივ მაჩვენებელზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს ისეთმა გარე პირობებმა როგორიცაა ამინდები, კონტრაქტორის შეუსრულებელი ვალდებულებები და სხვა |
| | 2 | რეაბილიტირებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 3400 პირდაპირი და 8800 არაპირდაპირი ბენეფიციარი. | 2020 წელს რეაბილიტირებული გზებით ისარგებლებს არანაკლებ 1800 პირდაპირი და 5500 არაპირდაპირი ბენეფიციარი. | 10% | მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია შეიცვალოს შეკეთებული გზების რაოდენობის შესაბამისად |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი** | | | | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 02 01 01 | | | | | **150.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **საფინანსო სამსახური** | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგამათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფლებში: მირიანი, ოკამი, კოდისწყარო, ნიგოზა, ჩობალაური, ლამისყანა,ჩობალაური, ქვემო რენე, ზემო რენე,ყარაფილა-სარიბარი-ზადიანთკარის, სამთავისი, ბოჟამი, ქვემო ჭალა საკორინთლო-ახალშენა, განთავსებული წყლის სისტემების 14 ტუმბო მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში არსებული წყლის ყველა სატუმბი მოწყობილობების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება;<br><br>ამბროლაურის მოსახლეობის უზრუნველყოფა 24 საათიანი სასმელი წყლით | | | | | |
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | წყლის ტუმბოების რაოდენობა, რომელთა ელექტოენერგიის ხარჯის ანაზღაურება ხორციელდება ქვეპროგრამიდან | 2019 წელს ანაზღაურდა **7** წყლის ტუმბოს მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი | 2020 წელს ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 13 წყლის ტუმბოს<br><br>მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი | | გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მოწყობილი 6 სატუმბო სადგური ჭაბიურღილებით ექსპლოატაციაში შედის 2020 წელს, რომლის მოვლა-შენახვას განახორციელებს მუნიციპალიტეტი |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 02 02 02 | | **232.4** |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | შ.პ.ს."სოფლის წყალი" |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს კასპის მუნიციპალიტეტის 67 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების იმ ქსელების გამართულ და შეუფერხებელ ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლებიც არ შედის შ.პ.ს."გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კასპის სერვისცენტრის მართვის ქვეშ. ასევე საჯარო სკოლების და ამბულატორიების წყალმომარაგების ქსელების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფას.<br><br>სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და სამარაგო რეზერვუარებისა და წყალსადენის სისტემების ქსელების ქლორირების საქმიანობზბის ჩატარებას, სანიტარული ზონების მოწყობას, ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე ვიზიტორრების უწყვეტ რეჟიმში ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგებას. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება და მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარიხიანი სასმელი წყლით |

| შედეგის შეფასების ინდიკატორი | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | წყალმომარაგების ქსელში აღმოფხვრილი დაზიანებების რაოდენობა | 2019 წელს წყალმომარაგების ქსელში აღმოიფხვრა 194 დაზიანება | წყალმომარაგების ქსელის სიგრძის გაზრდის კვალობაზე 2020 წელს მოსალოდნელია დაზიანებების რაოდენობის ზრდა. გათვალისწინებით წინა წლების სტატისტიკური მოჩვენებლებიდან გამომდინარე, ასევე არსებული ამორტიზებული და სარეაბილიტაციო ქსელის გათვალისწინებით მოსალოდნელია არანაკლებ 151 დაზიანების აღმოფხვრა | | ზუსტი გაანგარიშების გაკეთება შეუძლებელია, გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების სტატისტიკისა და ამორტიზირებული ქსელის გათვალისწინებით |
| | 2 | სოფლების რაოდენობა რომელთა წყალმომარაგების ქსელს ემსახურება ცენტრი | 2019 წლის მდგომარეობით ცენტრი ემსახურება 67 სოფლის წყალმომარაგების ქსელს | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 0% | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 02 02** | | **1290.0** |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური** |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.<br><br>ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის ასევე გამოყოფილია თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან. 2020 წლისათვის სდაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:<br><br>- სოფელ ფერმა ჩანგილარის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები<br><br>- ბენეფიციარი 130 ოჯახი, 400 პირი გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება პრიორიტეტულობის, პრობლემის სოციალური მდგომარეობის სიმწვავის, მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი<br><br>გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს ხარისხიანი სასმელი წყლის<br><br>მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი;<br>მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებლი წვდომა სასმელ წყალზე;<br><br>მოწყობილია მაგისტრალური და შიდა<br><br>ქსელები.<br><br>მოწყობილია გამრიცხველიანება |

| | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | 1 | რეაბირიტირებული წყალსადენის (მ.შ. სათავე ნაგებობა) სიგრძე | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში კაპიტალური რეაბილიტაცია ჯამში ჩაუტარდება 8520 გრძ/მ წყალსადენს; მათ შორის წყლის არსებული ქსელი რეაბილიტაცია 7530 გრძ/მ; წყლის ახალი ქსელი - 990 გრძ/მ. | 2020 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება დაგეგმილია არანაკლებ 8484 გრძ/მ-ზე წყალსადენზე. წყლის ახალი ქსელი - 7600 გრძ/მ. | | მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს ჩატარებული ტენდერის ეკონომიებისა და სხვა ფინანსური რესურსების მობილიზების ხარჯზე; ასევე მიზნობრივ მაჩვენებელზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს ისეთმა გარე პირობებმა როგორიცაა ამინდები, კონტრაქტორის შეუსრულებელი ვალდებულებები და სხვა |
| | 2 | რეაბირიტირებული (მ.შ. ახალი) წყლის სათავე ნაგებობები | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყლის 2 სათავე ნაგებობას; | | | მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს ჩატარებული ტენდერის ეკონომიებისა და სხვა ფინანსური რესურსების მობილიზების ხარჯზე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | რეაბილიტირებული წყლის სათავე ნაგებობით და წყალსადენებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული წყალსადენების ქსელით (მ.შ. სათავე ნაგებობები) ისარგებლებს დაახლოებით 4200 ბენეფიციარი. | 2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული წყალსადენების ქსელით (მ.შ. სათავე ნაგებობები) ისარგებლებს დაახლოებით 400 ბენეფიციარი. | | მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია შეიცვალოს შესრულებული პროექტების რაოდენობის შესაბამისად |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>02 03 01 01 | **გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება** | | | | დაფინანსება ათას ლარში<br>**280.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | საფინანსო სამსახური | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების (3800 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება;<br>ღამის საათებში ქ.კასპის და კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა | | | | | |
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | განათების წერტილების რაოდენობა, რომელთა ელექტოენერგიის ხარჯის ანაზღაურება ხორციელდება ქვეპროგრამიდან | 2019 წელს ანაზღაურდა 3800 განათების წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი | პროგრამის ფარგლებში სრულად იქნება ანაზღაურდებული გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი | 0% | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>02 03 01 02 | გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში<br>89.2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - კასპის კეთილმოწყობა | | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. კასპის და 16 ადმინისტრაციულ ერთეულის ყველა ცენტრალურ მონაკვეთზე.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 3800 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა, მათ შორის ქ. კასპში 2000 და სოფლებში 1800 წერტილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების და განათებასთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობების (მრიცხველი,<br><br>დაზიანებული ბოძი, ე.წ. დროსელი და სხვა) შეკეთება/გამოცვლას;<br>ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 6 საშტატო ერთეულის ხელფასები. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრება დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების დაახლოებით 80%. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | გარე განათების წერტილების რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა ხორციელდება ქვეპროგრამის ფარგლებში | 3800 ერთეული | 3800 ერთეული | 3% | |
| | 2 | შეკეთებული სანათების რაოდენობა | საშუალოდ, წლის განმავლობაში ხორციელდება 1150 ერთეული სანათის შეკეთება (გამოცვლა) | 1150 ერთეული | 10% | გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლების მიხედვით |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 03 02 | | **30.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულიგარე განათების ქსელის კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები. 2020 წლისათვის დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:<br><br>- სოფლებში გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები<br>გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა;<br><br>მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების დაახლოებით | | |

| | |
|---|---|
| | 75%. |

| | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | 1 | რეაბირიტირებული (მ.შ. ახალი) გარე განათების ქსელის სიგრძე | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყო ქ.კასპში 45 ქუჩაზე და 45 სოფლის ცენტრალურ ქუჩებზე 57 ლოკაციაზე გარე განათების ახალი ელ.სადენები ჯამში 13750 გრძ/მ რეაბილიტაცია ჩაუტარდა გარე განათების არსებულ ქსელს ჯამში 850გრძ.მ, არსებულ ქსელზე აღდგა და დამონტაჟდა გარე განათების ლინზური სანათები | 2020 წელს სარეაბილიტაციო სამუშაობი ჩაუტარდება გარე განათების 2555 მრძ/მ ქსელს, მათ შორის, განათების ახალი ქსელია 2555 მრძ/მ; | 10% | მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს ჩატარებული ტენდერის ეკონომიებისა და სხვა ფინანსური რესურსების მობილიზების ხარჯზე; ასევე მიზნობრივ მაჩვენებელზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს ისეთმა გარე პირობებმა როგორიცაა ამინდები, კონტრაქტორის შეუსრულებელი ვალდებულებები და სხვა |
| | 2 | რეაბილიტირებული გარე განათების ქსელით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | 2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული განათების ქსელით ისარგებლებს დაახლოებით 1300 ბენეფიციარი. | 2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გარე განათების ქსელით ისარგებლებს დაახლოებით 6700 ბენეფიციარი. | 10% | მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია შეიცვალოს შესრულებული პროექტების რაოდენობის შესაბამისად |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>02 06 01 | **ბაღებისა და სკვერების რეაბილიტაცია** | დაფინანსება ათას ლარში<br>**56.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტუქტურული პროექტების დაფინანსება. მათ შორის:<br><br>კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეს ცენტში სკვერის რეაბილიტაცია გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2020 წლის განმავლობაში არსებული<br><br>ფინანსური რესურსების ფარგლებში, კეთილმოწყობის ღონისძიებების ქვეპროგრამიდან შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობის გათვალისწინებით, | | |
| | ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა:<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული სკვერებით შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის. | | | | | |
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | რეაბილიტირებული სკვერების რაოდენობა | 2019 წელს სკვერის რეაბილიტაცია არ განხორციელებულა | 2020 წელს სამუშაობის შესრულება დაგეგმილია 1სკვერში | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **მგზავრთა მოსაცდელების რეაბილიტაცია** | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 06 01 | | **8.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტისტერიტორიაზე მგზავრთა მოსაცდელების რეაბილიტაცია. მათ შორის:<br><br>- კასპში მდებარე მგზავრთა მოსაცდელების რეაბილიტაცია; | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის გადაადგილებისათვის კომფორტული პირობების შექმნა | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | რეაბილიტირებული მოსაცდელების რაოდენობა | 2019 წელს სკვერის რეაბილიტაცია არ განხორციელებულა | 2020 წელს სამუშაობის შესრულება დაგეგმილია 3 სკვერში | 20% | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 07 | | **1,034.0** |

| | |
|---|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **საფინანსო სამსახური** |
| პროგრამის აღწერა | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:<br><br>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი;<br><br>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი;<br><br>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი;<br><br>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება<br><br>1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი.<br><br>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:<br><br>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;<br><br>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;<br><br>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.<br><br>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყეტაში;<br><br>იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა |

შედეგის შეფასების ინდიკატორი

| № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა | 2019 წელს დაგეგმილია 72 პროექტის განხორციელება | მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება | 3% | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>02 09 | **საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები** | დაფინანსება ათას ლარში<br>**640.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური** | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.<br><br>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.<br><br>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს) |

| შედეგის შეფასების ინდიკატორი | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია | 2019 წელს გაკეთდა 44 პროექტის საპროექტო-სახარჯთახრიცხვო დოკუმენტაცია | 2020 წელს წინასწარი გათვლებით მომზადდება არანაკლებ10 პროექტის საპროექტო-სახარჯთახრიცხვო დოკუმენტაცია | 20% - დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალური ტრანსფერის მოცულობაზე | |
| | 2 | პროექტები, რომელთა სამუშაოების მიმდინარეობას გაეწია ზედამხედველობა | 2019 წელს სამშენებლო ზედამხედველობა გაეწია 25 პროექტს, რომელიც ჯამში მოიცავდა 400-ზე მეტ სამშენებლო ობიექტს | 2019 წელს წინასწარი გათვლებით სამშენებლო ზედამხედველობა გაეწევა 28 პროექტს | 20% - დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალური ტრანსფერის მოცულობაზე | |

## მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1035,7 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,035.7 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 939.1 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, განვითარება | 96.6 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | დასუფთავება და ნარჩენების გატანას | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 03 01 | | 939.1 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - კასპის კეთილმოწყობა | | |

<table>
<tr><td>პროგრამის აღწერა</td><td colspan="6">პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კასპის კეთილმოწყობა<br><br>ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ<br><br>ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას<br><br>და გატანას, ზამთრის პერიოდში თოვლისგან გზაბის გაწმენდას,<br><br>საჭიროების შემთხვევაში სანიაღვრე არხების გაწმენდას და<br><br>ფორსმაჟორულ სიტუაციებში სხვა გადაუდებელი ღონისძებების<br><br>განხორციელებას. ნარჩენების გატანის ღონისძიებებს ემსახურება<br><br>12 ერთეული ავტომანქანა.  ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა)<br><br>ხორციელდება ქალაქ კასპიდან და მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა<br><br>სოფლიდან (გარდა მაღალმთიანი სოფლებისა). შეგროვებული<br><br>ნარჩენები გადის მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე<br><br>მდებარე ნაგავსაყრელებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე<br><br>ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს<br><br>471 ერთეულს, მათ შორის, 259 განთავსებულია ქ. კასპში და<br><br>212 მუნიციპალიტეტის სოფლებში.<br>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან<br><br>ყოველწლიურად გადის დაახლოებით 7800 ტონა (31000 მ/კ)<br><br>ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე  საგრძნობლად იზრდება<br><br>გატანილი ნარჩენის მოცულობა.<br>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 182018 მ² დასუფთავება.<br><br>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ -<br><br>კასპის კეთილმოწყობის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის,<br><br>ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები,<br><br>ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.</td></tr>
<tr><td>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</td><td colspan="6">კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება<br><br>სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის  მაღალი დონე. მთელი<br><br>წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება კასპის<br><br>მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების  გატანა;<br><br>ზამთრის პერიოდში დროულად მოხდება დათოვლილი გზაბის გაწმენდა</td></tr>
<tr><td rowspan="3">მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td>#</td><td>ინდიკატორის აღწერა</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>მიზნობრივი მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td><td>განმარტება</td></tr>
<tr><td>1</td><td>მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდნეობა</td><td>მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველწლიურად გადის დაახლოებით 7800 ტონა ნარჩენი</td><td>მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება</td><td>10%</td><td>წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელა, განგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლების მიხედვით</td></tr>
<tr><td></td><td></td><td>ამბროლაურის</td><td></td><td></td><td>წლის განმავლობაში</td></tr>
</table>

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი | მუნიციპალიტეტში ჯამში ხორციელდება 182018 მ² ტერიტორიის დასუფთავება | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 10% | შესაძლებელია დაემატოს დასასუფთავებელი ფართობი |
| | 3 | ყოველდღიურად ნარჩენებისგან დაცლილი კონტეინერების რაოდენობა | გასულ პერიოდში საშუალოდ დღეში ხორციელდებოდა 100 კონტეინერის დაცლა | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 10% | წლის განმავლობაში შესაძლებელია დაემატოს დასასუფთავებელი ფართობი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი<br>03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | | | | დაფინანსება ათას ლარში<br>96.6 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - კასპის კეთილმოწყობა | | | | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. კასპის ტერიტორიაზე არსებული 7 სკვერის და 10 გამწვანებული ტერიტორიის (ჯამში 17750 მ² მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამ-ქიმიკატების შეტანა. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება სკვერებში დაზიანებული სკამების და სხვა ინვენტარის შეკეთება ან/დაგამოცვლის ღონისძიებები.<br>პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება 13 საშტატო ერთეულის ხელფასების დაფინანსება. | | | | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქ. კასპის ტერიტორიაზე არსებული სკვერების გაუმჯობესებული ვიზუალური მხარე;<br>მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასვენებისა და განთვირთვისათვის კომფორტული პირობების შექმნა;<br>ქალაქისა ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები;<br>მოხდება მათი მორწყვა, შხამ- ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | სკვერებში დარგული ყვავილების და მრავალწლიანი ნარგავების რაოდენობა | 2019 წელში დაირგო 5000 ძირი ნერგი | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნაბა | 10% | დამოკიდებულია გარემო პირობებზე (ამინდი) |
| | 2 | წლის განმავლობაში მორწყული ნარგავების რაოდენობა | 2019 წელს მოირწყა დაახლოებით 6000 ძირი ნარგავი | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნაბა | 10% | დამოკიდებულია გარემო პირობებზე (ამინდი) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

## მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4582.1 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა,<br><br>ქვეპროგრამა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 4582.1 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების<br><br>ხელშეწყობა | 2,090.0 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების<br><br>რეაბილიტაცია მშენებლობა | 1538.0 |
| 04 03 | ზოგადი განათლების (საჯარო<br><br>სკოლების ხელშეწყობა) | 954.1 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი<br><br>დაწესებულებების | დაფინანსება<br><br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 04 01 | ხელშეწყობა | 2,090.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი<br><br>სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანება | | |
| პროგრამის აღწერა | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის<br><br>კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და<br><br>განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების<br><br>უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ)<br><br>უფლებამოსილებას წარმოადგენს.<br><br>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია<br><br>უზრუნველყოს სკოლამდელი | | |
| | აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის<br><br>საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. | | |

| | |
|---|---|
| | დღეის მდგომარეობით კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (5 ბაღი ქ. კასპში და 21 ბაღი სოფლებში) სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1600-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღზრდელო პროცესის წარმართვას.<br>ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 440 თანამშრომელი. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით;<br>სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვები მზაობა დაწყებითი განათლების მიღებისათვის;<br>პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა,<br>დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; |

| | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| შედეგის შეფასების | 1 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა | 2019 წელს საბავშვო ბაღების მომსახურებით სარგებლობს 1600-ზე ბავშვი | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 5% | ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში დღეს არსებულ მოთხოვნას. მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში არსებული რესურსების ფარგლებში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორი | | | | | | შესაძლებელია ასევე დამატებით აღსაზრდელების მიღება |
| | 2 | ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მზად არიან მიიღონ დაწყებითი საშუალო განათლება | 2019 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა ის 387 აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს | 2020 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა ის 405 აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს | 0% | სასკოლო მზაობის პროგრამით მომზადდება ყველა ის აღსაზრდელი, რომელიც სარგებლობს საბავშვო ბაღების მომსახურებით |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარში |
| | 04 01 | | 1,538.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | | | |
| | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. | | |
| | შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 6 პროექტის განხორციელება. მათ შორის 2 პროექტის, რომელთა ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა გასულ წლებში, ერთი პროექტის გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები სოფლების აღსაზრდელებისთვის და 3 პროექტის, იმ დასახლებებისთვის სადაც 20-30 წლისგანმავლობაში არ ფუნქციონირებდა | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | სკოლამდელი აღზრდის ობიექტი. კერძოდ:<br>- სოფელ ოკამსა დ სოფელ აღაიანში საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია<br>და გათბობის სისტემების მოწყობა<br>-სოფელ რენეში საბავშვო ბაღის შენობის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია,<br>გათბობის სისტემის და ეზოს კეთილმოწყობა<br>-სოფელ იგოეთში, სოფელ გრაკალსა და სადგურ მეტეხის<br>დასახლებაში საბავშვო ბაღების მშენებლობა<br>საბავშვო ბაღები შეძლებენ სააღმზრდელო პროცესში დამატებით<br>ჩაერთოს და მოექცეს მზრუნველობის ქვეშ 150-ზე მეტი ბაღის ასაკის ბავშვი.<br>მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს<br>ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების ტერიტორიაზე მცხოვრები<br>ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღზრდელო პროცესის წარმართვას. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან<br>6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშო ბაღის მომსახურებით,<br>შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით;<br>სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვები მზაობა დაწყებითი განათლების მიღებისათვის;<br>პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი<br>აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა<br>შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში<br>დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა,<br>დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, შენობები ადაპტირებული იქნება სსმ პირებისთვის |

| | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით მოსარგებლე | 2019 წელს საბავშვო ბაღების მომსახურებით | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 5% | ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში დღეს არსებულ მოთხოვნას. მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | | ბავშვების რაოდენობა | სარგებლობს 1600-ზე ბავშვი | | | არსებული რესურსების ფარგლებში შესაძლებელია ასევე დამატებით აღსაზრდელების მიღება |
| | 2 | ბავშვებისრაოდენობა, რომლებიც მზად არიან მიიღონ დაწყებითი საშუალო განათლება | 2019 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა ის 387 აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს | 2020 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა ის 405 აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს | 0% | სასკოლო მზაობის პროგრამით მომზადდება ყველა ის აღსაზრდელი, რომელიც სარგებლობს საბავშვო ბაღების მომსახურებით |

## მუხლი 16.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3413,0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 05 00 | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **3,413.0** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 1,090.0 |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 990.0 |
| 05 01 01 01 | სპორტის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა | 380.0 |
| | | |

|  |  |  |
|---|---|---|
| 05 01 01 02 | კასპის სპორტკომპლექსის ხელშეწყობა | 610.0 |
| 05 01 03 | კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში | 100.0 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 2,108.0 |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,490.0 |
| 05 02 01 01 | კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა | 390.0 |
| 05 02 01 02 | სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ხელშეწყობა | 540.0 |
| 05 02 01 03 | ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა | 230.0 |
| 05 02 01 04 | მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა | 330.0 |
| 05 02 03 | კაპიტალური დაბანდება კულტურის სფეროში | 528.0 |
| 05 02 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 90.0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა და ღონისძიების ხარჯები | 215.0 |

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2" colspan="4">სპორტის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა</td><td>დაფინანსება ათას ლარში</td></tr>
<tr><td>05 01 01 01</td><td>380.0</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</td><td colspan="6">ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის აღწერა</td><td colspan="6">ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება კასპის მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. დაწესებულებაში ჯამში ვარჯიშობს 400-მდე აღსაზრდელი. სავარჯიშო პროცესი მიმდინარეობს 4 სპორტულ მოედანზე. დაწესებულების აღსაზრდელები წლის განმავლობაში მონაწილეობას რებულობენ სხვადასხვა რეგიონალურ და სახელობით ტურნირებში. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მგზავრობის, კვების, გუნდების ეკიპირების, სამედიცინო და სხვა ხარჯები.  დაწესებულებაში სამწვრთნელო პროცესი მიმდინარეობს ყოველდღიურად. დაწესებულებაში დასაქმებულია 47 ადმიანი. გაერთოანების აღსაზრდელები ზაფხულობით გადიან სპორტულ შეკრებას, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</td><td colspan="6">ქვეპროგრამის მიზანია:<br> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;<br> - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში;<br> - მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობაში ფეხბურთის პოპულარიზაცია.<br>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფეხბურთის ვარჯიშებით დაკავებული ბავშვების გაზრდილი რაოდენობა</td></tr>
<tr><td rowspan="3">შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td>№</td><td>ინდიკატორის აღწერა</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>მიზნობრივი მაჩვენებელი</td><td>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</td><td>განმარტება</td></tr>
<tr><td>1</td><td>ბავშვების რაოდენობა</td><td>2019 წელს ფეხბურთს ეუფლება 400 ბავშვი</td><td>2020 წელს მინიმუმ შენარჩუნდება ბავშვების არსებული რაოდენობა</td><td>5%</td><td>დამოკიდებულია მომართვიანობაზე. სკოლა მზადაა დააკმაყოფილოს დამატებითი მოთხოვნა</td></tr>
<tr><td>2</td><td>სპორტული შეკრებების რაოდენობა</td><td>2019 ჩატარდა 1 სპორუტული შეკრება ზღვის სანაპიროზე</td><td>2020 წელს ჩატარდება არანაკლებ 1 შეკრება</td><td>0%</td><td></td></tr>
</table>

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კასპის სპორტკომპლექსის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 01 02 | | 610.0 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - კასპის სპორტკომპლექსი |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ კასპის სპორტკომპლექისის ბაზაზე. სპორტკომპლექსის აერთიანებს 13 სპორტულ სახეობას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა; ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, სამბო, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, კარატე, კინგ-ბოქსინგი, პანკრატიონი, კრივი, მაგიდის ჩოგბურთი, შაში, ჭადრაკი და კალათბურთი; სულ სპორტკომპლექსში ზემოაღნიშნულ სპორტის სახეობებს ეუფლება 600-მდე ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტკომპლექსში დასაქმებულია ჯამში 90 ადმიანი, მათ შორის, 60 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 30 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში როგორც მუნიციპალიტეტის ასევე ქვეყნის მასშტაბით. სპორტკომპლექსის აღზრდილი სპორტსმენები (დაახლოებით 15 სპორტსმენი) ირიცხებიან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებებსა და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის მიზანია:<br>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;<br>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის და მსოფლიოს მასშტაბით.<br>სპორტკომპლექსი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია კომპლექსის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; |

შედეგის შეფასების ინდიკატორი

| № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| 1 | სპორტკომპლექსში არსებული სპორტის სახეობების რაოდენობა | 2019 წელს ფუნქციონირებს სპორტის 13 სახეობა | 2020 წელს შენარჩუნებული იქნება 13 სპორტის სახეობა | 0% |
| 2 | სპორტსმენების რაოდენობა | 600 სპორტსმენი | 2020 წელს მინიმუმ შენარჩუნდება ბავშვების არსებული რაოდენობა | 5% - დამოკიდებულია მომართვიანობაზე |
| 3 | სპორტკომპლექსის მიერ ჩატარებული სპორტული ღონიძიებების რაოდენობა | 2019 წელს სპორტკომპლექსის მიერ ჩატარდა 30 სპორტული ღონისძიებაში | 2020 წელს სპორტკომპლექსის მიერ ჩატარდება 35 სპორული ღონისძიბაში | 5% |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 01 | | 390.0 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ხორციელდება კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ბაზაზე, რომელიც აერთიანებს კულტურის ცენტრს ქ. კასპში, კულტურის სახლის ს. ქვემო ჭალაში და 16 სასოფლო კლუბს. გაერთიანებაში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული, ბალეტის, ტავარჯიშის, სამეჯლისო სპორტული ცეკვების, ხალხური საკრავების შემსწავლელი, საესტრადო და ქართული ხალხური სიმღერების, გიტარის და ხატვის წრეები. ჯამში დაწესებულების მომსახურებით სარგებლობს კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1000-მდე ახალგაზრდა. გაერთიანებაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 78 თანამშრომელს.<br>წლის განმავლობაში გაერთიანება მნიშვნელოვან (საიუბილეო) თარიღებზე აწყობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. ყოველწლიურად ტარდება ქართულური სიმღერისა და გალობის ტრადიციული ფესტივალი „ქართლი“, ასევე ყოველწლიურად ტარდება ფერების ფესტივალი და ეროვნული სამოსის დღე. გაერთიანების აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა სახის კონკურსებსა და ფესტივალებში როგორც მუნიციპალიტეტის ასევე ქვეყნის მასშტაბით. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | კასპის მუნიციპალიტეტის მოზარდი თაობისათვის ქორეოგრაფიის, ბალეტის, ტავარჯიშის, სამეჯლისო სპორტული ცეკვების და ხელოვნების სხვა სახეობების შესწავლა.<br>შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარება;<br>გაერთიანებაში არსებულ წრეებზე სწავლის მსურველთა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებული. |

| | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | 1 | გაერთიანების მომსახურებით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა | 2019 წელს ჯამში გაერთიანებაში შემავალი წრეებზე შესაბამის განათლებას იღებდა 1000-მდე მოსწავლე | 2020 წელს იგეგმება ბავშვების რაოდენობის ზრდა 1100 მოსწავლემდე | 20% | გაერთიანება გეგმავს წრეების რაოდენობის დამატებას, შესაბამისად მოსალოდნელია ბავშვების რაოდენობის ზრდაც |
| | 2 | წლის განმავლობაში ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები | 2019 წელს ჩატარდა 30 სხვადასხვა სახის ღონისძიება | 2020 წელს დაგეგმილია 30 ღონისძიების ჩატარება, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს წლის განმავლობაში შესაძლებელია ჩატარდეს სხვა დაუგეგმავი ღონისძიებები | 20% | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 02 | | **540.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, რომელშიც ერთიანდება კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 5 სამუსიკო სკოლა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.<br><br>სამუსიკო სკოლებში ფორტეპიანოს შესწავლასთან ერთად ფუნქციონირებს ხატვის, ხელსაქმის შემსწავლელი და 1 თეატრალური წრე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს როგორც შემოქმედებითი ასევე შემეცნებითი (საგნობრივი) წრეები. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის და სამუსიკო სკოლების მომსახურებით წლის განმავლობაში ჯამში სარგებლობს კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 900-ზე მეტი მოზარდი. გაერთიანებაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 97 თანამშრომელს, მათ შორის 70 პედაგოგია. | | |
| ქვეპროგრამის | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და მოსაწავლე-ახალგაზრდობის სახლი წლის განმავლობაში ფუნქციონირობს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული | | |

| | |
|---|---|
| მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სამხატვრო და სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში |

| | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | 1 | სამუსიკო სკოლების და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 2019 წელს ჯამში ჩატარდება დაახლოებით 50 სხვადასხვა სახის ღონისძიება | 2020 დაგეგმილია 60 ღონისძიების ჩატარება | 10% | გაზრდილია წრეების რაოდენობა, ასევე გაზრდილია დაინტერესება მოსწავლეთა მხრიდან |
| | 2 | სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | 2019 წელს გაერთიანების მომსახურებით სარგებლობს 900-ზე მეტი მოსწავლე | 2020 წელს მინიმუმ შენარჩუნდება საბაზისო მაჩვენებელი | 10% | |
| | 3 | სამუსიკო სკოლების მიერ ფესტივალებში მონაწილეობა | 2019 წელს სამუსიკო სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 3 ფესტივალში | 2020 წელს იგეგმება არანაკლებ 5 ფესტივალში მონაწილეობის მიღება | 10% | დამოკიდებულია მოწვევების რაოდენობაზე |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა** | დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 03 | | **230.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ხორციელდება კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების ბაზაზე, რომელიც აერთიანებს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 3 ბიბლიოთეკას, ესენია: მთავარი ბიბლიოთეკა, კასპის საქალაქო ბიბლიოთეკა და ქვემო ჭალის სასოფლო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი ჯამში შეადგენს 55000 ერთეულს. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს დაახლობით 2300 მკითხველი. ბიბლიოთეკაში სხვადასხვა მნიშვნელოვან (საიუბილეო) თარიღებზე ეწყობა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და გამოფენები. ბიბლიოთეკების გაერთიანებაში დასაქმებულია 39 თანამშრომელი, ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები ხმარდება თანამშრომელთა ხელფასებს, დაწესებულებების კომუნალურ გადასახადებს, ღონისძიებების ორგანიზების, წიგნების ფონდის შევსების და სხვა ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში კულტურულ-საგანმანათელბლო დონის ამაღლება;<br>ყველა სოციალური ჯგუფისთვის, დაინტერესებული პირისათვის შეუფერხებელი შესაძლებლობის მიცემა ისარგებლოს საბიბლიოთეკო მომსახურებით;<br>ბიბლიოთეკებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა;<br>მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაცია. | | |

| | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებების | 2019 წელს ბიბლიოთეკებში ჩატარდება 30 სხვადასხვა | 2020 წელს ჩატარდება არანაკლებ 30 | 10% | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | რაოდენობა | სახის ღონისძიება | ღონისძიებისა | | |
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | 2 | ბიბლიოთეკის მომსახურებით მოსარგებლე მკითხველთა რაოდენობა | 2019 წლის ბიბლიოთეკის მომსახურებით ისარგებლებს დაახლოებით 2300 მკითხველი | საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება | 10% | ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს მკითველთა გაზრდილ რაოდენობას |
| | 3 | წლის განმავლობაში შეძენილი წიგნების რაოდენობა | ბოლო წლების მიხედვით გაერთიანება საშუალოდ წლის განმავლობაში წიგნის ფონდს ავსებს 300 ერთეულით | გაგრძელდება ბიბლიოთეკების წიგნის ფონდის შევსება და 2020 წელს შეძენილი იქნება არანაკლებ 300 ერთეული წიგნი. წიგნების შეჩევისას გათვალისწინებული იქნება მკითხველთა მოთხოვნები | 5% | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 04 | | **330.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიაბების ბაზაზე.<br>ა(ა)იპ აერთიანებს 5 მუნიციპალურ მუზეუმს, ესენია:<br>- კასპის მხარეთმცოდნების მუზეუმი;<br>- ლამისყანის ჯამბაკურ ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი;<br>- ხოვლის ი. ჯავახიშვილი სახელობის სახლ-მუზეუმი;<br>- სასირეთის გ. მაზნიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი;<br>- კავთისხევის ო. კელაპტრიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი;<br>მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 43127 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 3500-ს სტუმარს. მუზეუმში მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე) ეწყობა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებები და გამოფენები.<br>ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონიტორინგი. მონიტორინგს ახორციელებენ ე.წ. ძეგლის მცველები (6 თანამშრომელი), რომლებიც პერიოდულად ამოწმებენ ძეგლებს და შესაბამის სამსახურებს აწვდიან ინფორმაციას ძეგლის მდგომარეობის შესახებ. | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა;<br>დაინტერესებული პირებისათვის ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ცხოვრების და შემოქმედების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;<br>ისტორიული და ღირშესანიშნავი ექსპონატების პოპულარიზაცია;<br>მუნიციპალიტეტის და ზოგადად ქვეყნის ისტორიის პოპულარიზაცია. | | |

| | № | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | 1 | მუზეუმის მომსახურებით მოსარგებტორების რაოდენობალე ვიზი | 2019 წელს მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა შეადგეს 3500 სტუმარს | მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება | 10% | |
| | 2 | მუზეუმებში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 2019 წელს მუზეუმებში ჩატარდება 20 სხვადასხვა სახის ღონისძიება | 2020 წელს დაგეგმილია 46 სხვადასხვა სახის ღონისძიების ჩატარება | 10% | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | 3 | მუზეუმების მიერ ჩატარებული გამოფენების რაოდენობა | 2019 წლის განმავობაში მუნიციპალიტეტის მუზეუმში ჩატარდება არანაკლებ 17 გამოფენა | 2020 წლის განმავლობაში დაგეგმილია არანაკლებ 19 გამოფენის ჩატარება | 10% | |

**მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1094,0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 06 00 | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **1,094.0** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 74.0 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 74.0 |
| 06 01 02 | ამბულატორიების მშენებლობა რეაბილიტაცია | |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 1,020.0 |
| 06 02 01 | ერთჯერადი დახმარებები | 880.0 |
| 06 02 02 | უფასო სასადილოს დაფინანსება | 130.0 |
| 06 02 03 | დევნილთა დახმარება | 10.0 |
| 06 02 04 | ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხორები ოჯახების დახმარება | |

| | | |
|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | |
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** | 06 02 | |
| | | |
| **პროგრამის დასახელება:** | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | | |
| | | |
| **პროგრამის განმახორციელებელი:** | | |
| ქ. კასპის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| | | |
| **პროგრამის განხორციელების პერიოდი:** | 2017-2020 წწ | |
| | | |

პროგრამის მიზანი:

აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება. სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა უზრუნველყოფს კასპის მუნიციპალიტეტის (შემდგომში-მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, აგრეთვე კასპის მუნიციპალიტეტში დროებით რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებსა და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს. ონკოლოგიური ავადმყოფის სამედიცინო და მედიკამენტოზური დახმარება - ამ პროგრამით დახმარებას მიიღებს ონკოლოგიური ავადმყოფიროგორც ა) ოპერციული მკურნალობისთვის ასევე სხვა სამედიცინო მომსახურებისთვის; კიბოსწინარე დაავადებით დაავადებულთა ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება ერთჯერადად საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა. კუჭის რეზექცია და გასტრექტომია თანადაფინანსება მოხდება ერთჯერადად საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი თანხის 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 3000 ლარისა. კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა სტაციონარული (მათ შორის დღის სტაციონარი) მკურნალობის თანადაფინასება მოხდება ერთჯერადად საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 700 ლარისა. . კარდიოქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსება - თანადაფინანსება მოხდება ერთჯერადად საყოველთაო ჯანდაცვის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 700 ლარისა. თვალის ოპერაციის თანადაფინანსება - თანადაფინანსება მოხდება ერთჯერადად საყოველთაო ჯანდაცვის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი თანხის დაფინანსებით: 300 ლარამდე სრულად, ხოლო 301-ლარიდან 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა; ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება - ოპერაციული მკურნალობისთვის (გარდა საკეისრო კვეთის, ესტეტიკური ქირურგიის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მომსახურებისა, პლასტიკური ქირურგიისა) ერთჯერადად დახმარებას მიიღებს ბენეფიციარი, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ. სიმსივნით დაავადებულ პირთა კვლევები და პროცედურები - ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად სახელმწიფოსგან დაუფინანსებელი კვლევებისთვის და პროცედურებისთვის 300 ლარამდე სრულად, ხოლო 301-ლარიდან 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა; სამედიცინო (ამბოლატორიული, სტაციონარული და მათ შორის დღის სტაციონარი) მომსახურების თანადაფინასება ამ პროგრამით ერთჯერადად დახმარების მიმღები არის ბენეფიციარი (მათ შორის ონკოლოგიური), რომელსაც ამოწურული აქვს სამედიცინო მომსახურებისთვის გათვალისწინებული ლიმიტი. კომპიუტერული ტომოგრაფიის, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული (მრტ) კვლევის, სცინტიგრაფიის, კოლონოსკოპიის დაფინანსება -
ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად (ერთი ან რამდენიმე ორგანოს, რომელიც აღნიშნულია ერთ ფორმა #100-ში) კომპიუტერული ტომოგრაფიის, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული (მრტ) გამოკვლევის, სცინტიგრაფიისათვის, მოთხოვნილი თანხის 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა; კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია, ემბოლექტომია, ემბოლიზაცია, სისხლძარღვების სტენტირება, შუნტირება და სისხლძარღვების პლასტიკა - ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, მოთხოვნილი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარი; “C ” ჰეპატიტით დაავადებული ბენეფიციარების დახმარება ერთჯერად დახმარებას მიიღებს ბენეფიციარი “C” ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებული სამედიცინო კვლევების დაფინანსებისთვის, დაუფინანსებელი თანხის 50%-ით თანადაფინანსებით; უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა - დაავადებების მქონე მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კუთხით დასაფინანსებელ ბენეფიციართა კონტინგენტია: ა) ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები; ბ) ბრონქიალური ასთმით და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით დაავადებული პაციენტები (გარდა 0-დან 100 001- მდე სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებისა); გ) პარკინსონით დაავადებული პაციენტები; დ)გლაუკომით დაავადებული პაციენტები; ე) ფსორიაზით დაავადებული პაციენტები; ვ) გულის უკმარისობით (III - IV სტადია) დაავადებული პაციენტები; ასევე კარდიოქირურგიული ოპერაცია, მწვავე ინფარქტი, მწვავე ინსულტის შემდგომ ბენეფიციარები; სოციალურად დაუცველ პენსიონერ ბენეფიციარს, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 50 001-მდე, მედკამენტური დახმარება გაეწევა ერთჯერადად არაუმეტეს 50 ლარის ოდენობით. სტაციონარში ხანგრძლივად მყოფი ბენეფიციარის ერთჯერადი სოციალური დახმარება - ამ მუხლით ერთჯერადად დახმარებას მიიღებს სტაციონარში ხანგრძლივად (ერთი თვეზე და მეტი) მყოფი ბენეფიციარის ოჯახის წევრი 1000 ლარის ოდენობით. დაავადებულ პირთა დახმარება რომელტა კონტიგენტია -- ცერებრალური დამბლით, პარაპლეგიით, ტეტრაპლეგიით, პარაპარეზით, ტეტრაპარეზით, არასრული ოსტეოგენეზით, ოსტეომალაციით, კახექსია მძიმე ფორმით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით, გონებრივი ჩამორჩენილობით, სმენის ორმხრივი დაქვეითებით III ხარისხიდან, ეპილეფსიით, ფსორიაზით, ფენილკეტონურიით, ცელიაკიით, ჰიდროცეფალიით, მიკროცეფალიით, სპინალური ამიოტროფიით, სპინო-ცერებრალური ატაქსიით, სირინგომიელიით; ოსტეომიელიტით, ცერებრო-სპინალური ფორმით, სპონდილოართრიტით, ორმხრივი ნეოართროზით და სისტემური დაავადებებით (კოლაგენოზები და ვასკულიტები) დაავადებულ პირებზე სოციალური დახმარება გაიცემა ერთჯერადად 400 ლარის ოდენობით; თირკმლის უკმარისობით (დიალიზი) დაავადებულ პაციენტთა დახმარება - ამ მუხლით დახმარების მიმღებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 500 ლარის ოდენობით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება - ერთჯერადი დახმარება გაეწევათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე I ჯგუფის, მათ შორის 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს 400 ლარის ოდენობით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ეტლით დახმარება - ეტლის შესაძენად ერთჯერადი დახმარება გაეწევათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათ შორის 18 წლამდე ასაკისას, ეტლის საფასურის 50 %-ით თანადაფინანსებით, არაუმეტეს 200 ლარისა. მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას სოციალური დახმარება - ამ მუხლით გათვალისწინებული სოციალური დახმარება მიეცემა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილები, შეეძინათ მესამე ან მომდევნო შვილი და ერთ-ერთი მშობელი და შვილები რეგისტრირებული არიან კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ოჯახი დახმარებას მიიღებს თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად, 300 (სამასი) ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება - ამ დახმარების მიმღები არის ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი 18- წლამდე ასაკის შვილი, ერთ-ერთი მშობელი და შვილები რეგისტრირებული არიან და ოჯახით ცხოვრობენ კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მარტოხელა მშობლის დახმარება - ამ მუხლით გათვალისწინებული სოციალური დახმარება ერთჯერადად მიეცემა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ მარტოხელა მშობელს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ თითოეულ ბავშვზე 200 ლარის ოდენობით; დედ-მამით ობოლი ბავშვების ასევე, დედით ან მამით ობოლი და მამისგან ან/და დედისგან მიტოვებული ბავშვების დახმარება - ამ მუხლით დახმარება მიეცემა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვს ერთჯერადად 500 ლარის ოდენობით; სტუდენტების დახმარება - ამ მუხლით დახმარება ერთჯერადად გაეწევა სტუდენტს, რომელიც სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი), არ სარგებლობს სხვა სახელმწიფო პროგრამით(გარდა ერთიანი ეროვნულ გამოცდების შედეგად მიღებული გრანტისა) და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) არის დედ-მამით ობოლი; აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სურსათით დახმარების პროგრამა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის, კასპის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე რეგისტრირებული ასი და ას წელს გადაცილებული ხანდაზმული მოქალაქეებისათვის და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 1 001-მდე. ბ) არის მარჩენალდაკარგული მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახიდან; გ) არის სოციალურად დაუცველი ოჯახიდან და ოჯახს მინიჭებული აქვს 0-დან 65 001-მდე სარეიტინგო ქულა; კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ასი და ას წელს გადაცილებული ხანდაზმული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის ერთჯერადი სოციალური დახმარება - სოციალური დახმარება მიეცემა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ფაშიზმზე გამარჯვების დღისთვის, 9 მაისისთვის, ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დახმარება - ამ მუხლით დახმარების მიმღებია საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი. ხანძრის შედაგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ოჯახის დახმარება (მოსარგებლეზე არ ვრცელდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის აუცილებლობა) - ხანძრის შედაგად კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაზარალებულ ოჯახებს მიეცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება დამდგარი ზიანის მიხედვით, არაუმეტეს 3 000 ლარისა; მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:

ა)მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

გ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ომის მონაწილეთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

დ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

ე) უპატრონო მიცვალებული;

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (80 ბენეფიციარი) მცხოვრები უმწეო მოქალაქეთა უფასო კვების მომსახურება.

## თავი III
## კასპის ბიუჯეტის ასიგნებები

### მუხლი 18. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების. პროგრამების და ქვეპროგრამების მიხედვით განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | საკუთარი სახსრები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი სახსრები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| | კასპის მუნიციპალიტეტი | 12,885.0 | 24,038.1 | 15,803.3 | 8,234.8 | 22744.1 | 16318.3 | 6425.8 |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | - | 144 | 144 | - | 144 | 144 | - |
| | ხარჯები | 8,355.7 | 10,007.0 | 10,007.0 | - | 10,448.3 | 10,374.3 | 74.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,363.6 | 1,478.9 | 1,478.9 | - | 1,671.6 | 1,671.6 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 1,073.2 | 1,313.5 | 1,313.5 | - | 1,426.0 | 1,426.0 | - |
| | პროცენტი | 176.6 | 141.9 | 141.9 | - | 123.3 | 123.3 | - |
| | სუბსიდიები | 4,838.6 | 5,850.5 | 5,850.5 | - | 5,897.2 | 5,823.2 | 74.0 |
| | გრანტები | - | 44.0 | 44.0 | - | - | - | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 675.4 | 912.8 | 912.8 | - | 1,017.0 | 1,017.0 | - |
| | სხვა ხარჯები | | | | - | | | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 228.4 | 265.4 | 265.4 | | 313.2 | 313.2 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,418.3 | 13,887.1 | 5,652.3 | 8,234.8 | 12113.8 | 5,762.0 | 6351.8 |
| | ვალდებულებების კლება | 111.0 | 144.0 | 144.0 | - | 182.0 | 182.0 | - |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 2,516.1 | 2,663.8 | 2,663.8 | - | 2,937.9 | 2,937.9 | - |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | - | 144 | 144 | - | 144 | 144 | - |
| | ხარჯები | 2,393.7 | 2,480.8 | 2,480.8 | - | 2,706.9 | 2,706.9 | - |
| | შრომის ანაზღაურება | 1,363.6 | 1,478.9 | 1,478.9 | - | 1,671.6 | 1,671.6 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 724.2 | 650.0 | 650.0 | - | 741.0 | 741.0 | - |
| | პროცენტი | 176.6 | 141.9 | 141.9 | - | 123.3 | 123.3 | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 18.7 | 16.0 | 16.0 | - | 17.0 | 17.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 110.6 | 194.0 | 194.0 | - | 154.0 | 154.0 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 11.4 | 39.0 | 39.0 | - | 49.0 | 49.0 | - |
| | ვალდებულებების კლება | 111.0 | 144.0 | 144.0 | - | 182.0 | 182.0 | - |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2,227.5 | 2,277.9 | 2,277.9 | - | 2,582.6 | 2,582.6 | - |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | - | 144 | 144 | - | 144 | 144 | - |
| | ხარჯები | 2,216.1 | 2,238.9 | 2,238.9 | - | 2,533.6 | 2,533.6 | - |
| | შრომის ანაზღაურება | 1,363.6 | 1,478.9 | 1,478.9 | - | 1,671.6 | 1,671.6 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 724.2 | 650.0 | 650.0 | - | 741.0 | 741.0 | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 18.7 | 16.0 | 16.0 | - | 17.0 | 17.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 109.6 | 94.0 | 94.0 | - | 104.0 | 104.0 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 11.4 | 39.0 | 39.0 | - | 49.0 | 49.0 | - |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 664.1 | 662.0 | 662.0 | - | 776.0 | 776.0 | - |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | | 21 | 21 | | 21 | 21 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 664.1 | 662.0 | 662.0 | - | 747.0 | 747.0 | - |
| | შრომის ანაზღაურება | 404.1 | 426.7 | 426.7 | - | 471.0 | 471.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 146.4 | 140.3 | 140.3 | - | 170.0 | 170.0 | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 7.3 | 5.0 | 5.0 | | 6.0 | 6.0 | |
| | სხვა ხარჯები | 106.4 | 90.0 | 90.0 | | 100.0 | 100.0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | - | | | 29.0 | 29.0 | |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 1,467.8 | 1,514.9 | 1,514.9 | - | 1,705.6 | 1,705.6 | - |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | | 115 | 115 | | 115 | 115 | |
| | ხარჯები | 1,456.4 | 1,475.9 | 1,475.9 | - | 1,685.6 | 1,685.6 | - |
| | შრომის ანაზღაურება | 881.1 | 977.2 | 977.2 | - | 1,116.6 | 1,116.6 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 561.3 | 485.7 | 485.7 | - | 556.0 | 556.0 | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 11.1 | 10.0 | 10.0 | | 10.0 | 10.0 | |
| | სხვა ხარჯები | 2.9 | 3.0 | 3.0 | | 3.0 | 3.0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 11.4 | 39.0 | 39.0 | | 20.0 | 20.0 | |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 95.6 | 101.0 | 101.0 | - | 101.0 | 101.0 | - |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | | 8 | 8 | | 8 | 8 | |
| | ხარჯები | 95.6 | 101.0 | 101.0 | - | 101.0 | 101.0 | - |
| | შრომის ანაზღაურება | 78.4 | 75.0 | 75.0 | - | 84.0 | 84.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 16.6 | 24.0 | 24.0 | - | 15.0 | 15.0 | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0.3 | 1.0 | 1.0 | | 1.0 | 1.0 | |
| | სხვა ხარჯები | 0.3 | 1.0 | 1.0 | | 1.0 | 1.0 | |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 288.6 | 385.9 | 385.9 | - | 355.3 | 355.3 | - |
| | ხარჯები | 177.6 | 241.9 | 241.9 | - | 173.3 | 173.3 | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროცენტი | 176.6 | 141.9 | 141.9 | - | 123.3 | 123.3 | - |
| | სხვა ხარჯები | 1.1 | 100.0 | 100.0 | - | 50.0 | 50.0 | - |
| | ვალდებულებების კლება | 111.0 | 144.0 | 144.0 | - | 182.0 | 182.0 | - |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | - | 100.0 | 100.0 | - | 50.0 | 50.0 | - |
| | ხარჯები | - | 100.0 | 100.0 | - | 50.0 | 50.0 | - |
| | სხვა ხარჯები | | 100.0 | 100.0 | | 50.0 | 50.0 | |
| 01 02 03 | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 288.6 | 285.9 | 285.9 | - | 305.3 | 305.3 | - |
| | ხარჯები | 177.6 | 141.9 | 141.9 | - | 123.3 | 123.3 | - |
| | პროცენტი | 176.6 | 141.9 | 141.9 | | 123.3 | 123.3 | |
| | სხვა ხარჯები | 1.1 | - | | | - | | |
| | ვალდებულებების კლება | 111.0 | 144.0 | 144.0 | | 182.0 | 182.0 | |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 4,850.6 | 13,026.6 | 5,825.2 | 7,201.4 | 9681.3 | 4283.6 | 5,397.7 |
| | ხარჯები | 486.1 | 705.0 | 705.0 | - | 991.6 | 991.6 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 298.1 | 415.0 | 415.0 | - | 530.0 | 530.0 | - |
| | სუბსიდიები | 148.5 | 220.0 | 220.0 | - | 232.4 | 232.4 | - |
| | სხვა ხარჯები | 39.5 | 70.0 | 70.0 | - | 159.2 | 159.2 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,364.5 | 12,321.6 | 5,120.2 | 7,201.4 | 8759.7 | 3362.0 | 5,397.7 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2,923.2 | 5,144.5 | 2,517.4 | 2,627.1 | 5636.7 | 1173.0 | 4,463.7 |
| | ხარჯები | 7.1 | 85.0 | 85.0 | - | 100.0 | 100.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 6.5 | 85.0 | 85.0 | - | 100.0 | 100.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 0.6 | - | | | - | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,916.1 | 5,059.5 | 2,432.4 | 2,627.1 | 5536.7 | 1073.0 | 4,463.7 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 533.1 | 2,615.2 | 502.7 | 2,112.5 | 1672.4 | 1672.4 | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 233.6 | 310.0 | 310.0 | - | 382.4 | 382.4 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 85.7 | 90.0 | 90.0 | - | 150.0 | 150.0 | - |
| | სუბსიდიები | 147.9 | 220.0 | 220.0 | - | 232.4 | 232.4 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 299.5 | 2,305.2 | 192.7 | 2,112.5 | 1290.0 | 1290.0 | - |
| 02 02 01 | წყლის სისტემების ექსპლოატაცია | 233.6 | 310.0 | 310.0 | - | 382.4 | 382.4 | - |
| | ხარჯები | 233.6 | 310.0 | 310.0 | - | 382.4 | 382.4 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 85.7 | 90.0 | 90.0 | - | 150.0 | 150.0 | - |
| | სუბსიდიები | 147.9 | 220.0 | 220.0 | - | 232.4 | 232.4 | - |
| 02 02 01 01 | წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი | 85.7 | 90.0 | 90.0 | - | 150.0 | 150.0 | - |
| | ხარჯები | 85.7 | 90.0 | 90.0 | - | 150.0 | 150.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 85.7 | 90.0 | 90.0 | - | 150.0 | 150.0 | - |
| 02 02 01 02 | წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა | 147.9 | 220.0 | 220.0 | - | 232.4 | 232.4 | - |
| | ხარჯები | 147.9 | 220.0 | 220.0 | - | 232.4 | 232.4 | - |
| | სუბსიდიები | 147.9 | 220.0 | 220.0 | | 232.4 | 232.4 | |
| 02 02 02 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 299.5 | 2,305.2 | 192.7 | 2,112.5 | 1290.0 | 1290.0 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 299.5 | 2,305.2 | 192.7 | 2,112.5 | 1290.0 | 1290.0 | |
| 02 03 | გარე განათება | 437.8 | 532.0 | 532.0 | - | 399.2 | 399.2 | - |
| | ხარჯები | 193.9 | 240.0 | 240.0 | - | 369.2 | 369.2 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 193.9 | 240.0 | 240.0 | - | 280.0 | 280.0 | - |
| | სხვა ხარჯები | - | - | - | - | 89.2 | 89.2 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 243.9 | 292.0 | 292.0 | - | 30.0 | 30.0 | - |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია | 193.9 | 240.0 | 240.0 | - | 369.2 | 369.2 | - |
| | ხარჯები | 193.9 | 240.0 | 240.0 | - | 369.2 | 369.2 | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საქონელი და მომსახურება | 193.9 | 240.0 | 240.0 | - | 280.0 | 280.0 | - |
| | სხვა ხარჯები | - | - | - | - | 89.2 | 89.2 | - |
| 02 03 01 01 | გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება | 193.9 | 240.0 | 240.0 | - | 280.0 | 280.0 | - |
| | ხარჯები | 193.9 | 240.0 | 240.0 | - | 280.0 | 280.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 193.9 | 240.0 | 240.0 | - | 280.0 | 280.0 | - |
| 02 03 01 02 | გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა | - | - | - | - | 89.2 | 89.2 | - |
| | ხარჯები | - | - | - | - | 89.2 | 89.2 | - |
| | სხვა ხარჯები | | - | | | 89.2 | 89.2 | |
| 02 03 02 | კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში | 243.9 | 292.0 | 292.0 | - | 30.0 | 30.0 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 243.9 | 292.0 | 292.0 | | 30.0 | 30.0 | |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 38.8 | 140.0 | 140.0 | - | 70.0 | 70.0 | - |
| | ხარჯები | 38.8 | 70.0 | 70.0 | - | 70.0 | 70.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 38.8 | 70.0 | 70.0 | | 70.0 | 70.0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 70.0 | 70.0 | | - | | |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 56.8 | 300.0 | 300.0 | - | 64.0 | 64.0 | - |
| | ხარჯები | 9.2 | - | - | - | - | - | - |
| | საქონელი და მომსახურება | 8.6 | - | - | - | - | - | - |
| | სუბსიდიები | 0.6 | - | - | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 47.6 | 300.0 | 300.0 | - | 64.0 | 64.0 | - |
| 02 06 01 | ბაღებისა და სკვერების მოვლა-შენახვა | 53.5 | - | - | - | 56.0 | 56.0 | - |
| | ხარჯები | 7.7 | - | - | - | - | - | - |
| | საქონელი და მომსახურება | 7.1 | - | - | - | - | - | - |
| | სუბსიდიები | 0.6 | - | | | - | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 45.9 | - | | | 56.0 | 56.0 | |
| 02 06 02 | მგზავრთა მოსაცდელების მოვლა-შენახვა | 1.7 | - | - | - | 8.0 | 8.0 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.7 | - | | | 8.0 | 8.0 | |
| 02 06 03 | ფასადების აღდგენის სამუშაოები | - | 300.0 | 300.0 | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 300.0 | 300.0 | | - | | |
| 02 06 04 | საკადასტრო რუკების მომზადება | 1.6 | - | - | - | - | - | - |
| | ხარჯები | 1.6 | - | - | - | - | - | - |
| | საქონელი და მომსახურება | 1.6 | - | - | - | - | - | - |
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 107.4 | 1,466.3 | 400.0 | 1,066.3 | 1,034.0 | 100.0 | 934.0 |
| | ხარჯები | 3.5 | - | - | - | - | - | - |
| | საქონელი და მომსახურება | 3.5 | - | - | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 103.9 | 1,466.3 | 400.0 | 1,066.3 | 1,034.0 | 100.0 | 934.0 |
| 02 08 | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | - | 560.0 | - | 560.0 | 90.0 | 90.0 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 560.0 | | 560.0 | 90.0 | 90.0 | |
| 02 09 | საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები | 202.7 | 1,087.9 | 1,087.9 | - | 640.0 | 640.0 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 202.7 | 1,087.9 | 1,087.9 | | 640.0 | 640.0 | |
| 02 10 | საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია | 550.9 | 1,180.7 | 345.2 | 835.5 | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 550.9 | 1,180.7 | 345.2 | 835.5 | - | | |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,020.9 | 1,125.0 | 1,125.0 | - | 1,035.8 | 1,035.8 | - |
| | ხარჯები | 1,020.9 | 1,125.0 | 1,125.0 | - | 1,035.8 | 1,035.8 | - |
| | სუბსიდიები | 1,020.9 | 1,125.0 | 1,125.0 | - | 1,035.8 | 1,035.8 | - |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 1,020.9 | 1,125.0 | 1,125.0 | - | 939.1 | 939.1 | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 1,020.9 | 1,125.0 | 1,125.0 | - | 939.1 | 939.1 | - |
| | სუბსიდიები | 1,020.9 | 1,125.0 | 1,125.0 | | 939.1 | 939.1 | |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | - | - | - | - | 96.6 | 96.6 | - |
| | ხარჯები | - | - | - | - | 96.6 | 96.6 | - |
| | სუბსიდიები | | - | | | 96.6 | 96.6 | |
| 04 00 | განათლება | 1,680.4 | 3,405.2 | 2,521.9 | 883.3 | 4582.1 | 3628.0 | 954.1 |
| | ხარჯები | 1,670.3 | 2,087.4 | 2,087.4 | - | 2,040.0 | 2,040.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 0.5 | 118.4 | 118.4 | - | - | - | - |
| | სუბსიდიები | 1,669.8 | 1,925.0 | 1,925.0 | - | 2,040.0 | 2,040.0 | - |
| | გრანტები | - | 44.0 | 44.0 | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10.1 | 1,317.8 | 434.5 | 883.3 | 2542.1 | 1588.0 | 954.1 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,679.9 | 1,950.0 | 1,950.0 | - | 2,090.0 | 2,090.0 | - |
| | ხარჯები | 1,669.8 | 1,925.0 | 1,925.0 | - | 2,040.0 | 2,040.0 | - |
| | სუბსიდიები | 1,669.8 | 1,925.0 | 1,925.0 | | 2,040.0 | 2,040.0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10.1 | 25.0 | 25.0 | | 50.0 | 50.0 | |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 0.5 | 409.5 | 409.5 | - | 1538.0 | 1538.0 | - |
| | ხარჯები | 0.5 | - | - | - | - | - | - |
| | საქონელი და მომსახურება | 0.5 | - | - | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 409.5 | 409.5 | | 1538.0 | 1538.0 | |
| 04 03 | ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა | - | 1,045.7 | 162.4 | 883.3 | 954.1 | - | 954.1 |
| | ხარჯები | - | 162.4 | 162.4 | - | - | - | - |
| | საქონელი და მომსახურება | - | 118.4 | 118.4 | - | - | - | - |
| | გრანტები | | 44.0 | 44.0 | | - | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 883.3 | | 883.3 | 954.1 | | 954.1 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 2,050.2 | 2,677.5 | 2,677.5 | - | 3.413.0 | 3,413.0 | - |
| | ხარჯები | 2,018.0 | 2,618.9 | 2,618.9 | - | 2,650.0 | 2,650.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 35.8 | 111.0 | 111.0 | - | 135.0 | 135.0 | - |
| | სუბსიდიები | 1,929.5 | 2,506.5 | 2,506.5 | - | 2,515.0 | 2,515.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 52.7 | 1.4 | 1.4 | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 32.2 | 58.6 | 58.6 | - | 763.0 | 763.0 | - |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 684.3 | 970.0 | 970.0 | - | 1,090.0 | 1,090.0 | - |
| | ხარჯები | 678.1 | 941.4 | 941.4 | - | 960.0 | 960.0 | - |
| | სუბსიდიები | 675.7 | 940.0 | 940.0 | - | 960.0 | 960.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 2.4 | 1.4 | 1.4 | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6.2 | 28.6 | 28.6 | - | 130.0 | 130.0 | - |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 684.3 | 970.0 | 970.0 | - | 990.0 | 990.0 | - |
| | ხარჯები | 678.1 | 941.4 | 941.4 | - | 960.0 | 960.0 | - |
| | სუბსიდიები | 675.7 | 940.0 | 940.0 | - | 960.0 | 960.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 2.4 | 1.4 | 1.4 | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6.2 | 28.6 | 28.6 | - | 30.0 | 30.0 | - |
| 05 01 01 01 | სპორტის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობაა | 310.6 | 380.0 | 380.0 | - | 380.0 | 380.0 | - |
| | ხარჯები | 305.7 | 371.4 | 371.4 | - | 370.0 | 370.0 | - |
| | სუბსიდიები | 303.3 | 370.0 | 370.0 | | 370.0 | 370.0 | |
| | სხვა ხარჯები | 2.4 | 1.4 | 1.4 | | - | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.9 | 8.6 | 8.6 | | 10.0 | 10.0 | |
| 05 01 01 02 | კასპის სპორტკომპლექსის ხელშეწყობა | 373.7 | 590.0 | 590.0 | - | 610.0 | 610.0 | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 372.4 | 570.0 | 570.0 | - | 590.0 | 590.0 | - |
| | სუბსიდიები | 372.4 | 570.0 | 570.0 | | 590.0 | 590.0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.3 | 20.0 | 20.0 | | 20.0 | 20.0 | |
| 05 01 03 | კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში | - | - | - | - | 100.0 | 100.0 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | - | | | 100.0 | 100.0 | |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 1,292.7 | 1,596.5 | 1,596.5 | - | 2,108.0 | 2,108.0 | - |
| | ხარჯები | 1,281.7 | 1,566.5 | 1,566.5 | - | 1,555.0 | 1,555.0 | - |
| | სუბსიდიები | 1,253.8 | 1,566.5 | 1,566.5 | - | 1,555.0 | 1,555.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 27.9 | - | - | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 11.0 | 30.0 | 30.0 | - | 553.0 | 553.0 | - |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,240.5 | 1,490.0 | 1,490.0 | - | 1,490.0 | 1,490.0 | - |
| | ხარჯები | 1,229.4 | 1,465.0 | 1,465.0 | - | 1,465.0 | 1,465.0 | - |
| | სუბსიდიები | 1,228.8 | 1,465.0 | 1,465.0 | - | 1,465.0 | 1,465.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 0.6 | - | - | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 11.0 | 25.0 | 25.0 | - | 25.0 | 25.0 | - |
| 05 02 01 01 | კულტურული დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა | 324.9 | 390.0 | 390.0 | - | 390.0 | 390.0 | - |
| | ხარჯები | 322.9 | 380.0 | 380.0 | - | 380.0 | 380.0 | - |
| | სუბსიდიები | 322.9 | 380.0 | 380.0 | | 380.0 | 380.0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.0 | 10.0 | 10.0 | | 10.0 | 10.0 | |
| 05 02 01 02 | სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ხელშეწყობა | 432.2 | 540.0 | 540.0 | - | 540.0 | 540.0 | - |
| | ხარჯები | 427.9 | 535.0 | 535.0 | - | 535.0 | 535.0 | - |
| | სუბსიდიები | 427.9 | 535.0 | 535.0 | | 535.0 | 535.0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.3 | 5.0 | 5.0 | | 5.0 | 5.0 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 01 03 | ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა | 224.8 | 230.0 | 230.0 | - | 230.0 | 230.0 | - |
| | ხარჯები | 220.6 | 225.0 | 225.0 | - | 225.0 | 225.0 | - |
| | სუბსიდიები | 220.0 | 225.0 | 225.0 | | 225.0 | 225.0 | |
| | სხვა ხარჯები | 0.6 | - | | | - | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.2 | 5.0 | 5.0 | | 5.0 | 5.0 | |
| 05 02 01 04 | მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა | 258.6 | 330.0 | 330.0 | - | 330.0 | 330.0 | - |
| | ხარჯები | 258.0 | 325.0 | 325.0 | - | 325.0 | 325.0 | - |
| | სუბსიდიები | 258.0 | 325.0 | 325.0 | | 325.0 | 325.0 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.6 | 5.0 | 5.0 | | 5.0 | 5.0 | |
| 05 02 03 | კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში | - | 5.0 | 5.0 | - | 528.0 | 528.0 | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 5.0 | 5.0 | | 528.0 | 528.0 | |
| 05 02 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 52.2 | 101.5 | 101.5 | - | 90.0 | 90.0 | - |
| | ხარჯები | 52.2 | 101.5 | 101.5 | - | 90.0 | 90.0 | - |
| | სუბსიდიები | 25.0 | 101.5 | 101.5 | | 90.0 | 90.0 | |
| | სხვა ხარჯები | 27.2 | - | | | - | | |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 73.2 | 111.0 | 111.0 | - | 215.0 | 215.0 | - |
| | ხარჯები | 58.2 | 111.0 | 111.0 | - | 135.0 | 135.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 35.8 | 111.0 | 111.0 | - | 135.0 | 135.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 22.5 | - | | | - | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15.0 | - | | | 80.0 | 80.0 | |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 766.8 | 1,140.0 | 989.9 | 150.1 | 1,094.0 | 1,020.0 | 74.0 |
| | ხარჯები | 766.8 | 989.9 | 989.9 | - | 1,094.0 | 1,020.0 | 74.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 14.5 | 19.1 | 19.1 | - | 20.0 | 20.0 | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სუბსიდიები | 69.9 | 74.0 | 74.0 | - | 74.0 | - | 74.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 656.7 | 896.8 | 896.8 | - | 1,000.0 | 1,000.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 25.5 | - | - | - | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | - | 150.1 | - | 150.1 | - | - | - |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 69.9 | 224.1 | 74.0 | 150.1 | 74.0 | - | 74.0 |
| | ხარჯები | 69.9 | 74.0 | 74.0 | - | 74.0 | - | 74.0 |
| | სუბსიდიები | 69.9 | 74.0 | 74.0 | - | 74.0 | - | 74.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | - | 150.1 | - | 150.1 | - | - | - |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 69.9 | 74.0 | 74.0 | - | 74.0 | - | 74.0 |
| | ხარჯები | 69.9 | 74.0 | 74.0 | - | 74.0 | - | 74.0 |
| | სუბსიდიები | 69.9 | 74.0 | 74.0 | | 74.0 | | 74.0 |
| 06 01 02 | ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია | - | 150.1 | - | 150.1 | - | - | - |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 150.1 | | 150.1 | - | | |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 696.8 | 915.9 | 915.9 | - | 1,020.0 | 1,020.0 | - |
| | ხარჯები | 696.8 | 915.9 | 915.9 | - | 1,020.0 | 1,020.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 14.5 | 19.1 | 19.1 | - | 20.0 | 20.0 | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 656.7 | 896.8 | 896.8 | - | 1,000.0 | 1,000.0 | - |
| | სხვა ხარჯები | 25.5 | - | - | - | - | - | - |
| 06 02 01 | ერთჯერადი დახმარებები | 585.0 | 790.0 | 790.0 | - | 880.0 | 880.0 | - |
| | ხარჯები | 585.0 | 790.0 | 790.0 | - | 880.0 | 880.0 | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 559.4 | 790.0 | 790.0 | | 880.0 | 880.0 | |
| | სხვა ხარჯები | 25.5 | - | | | - | | |
| 06 02 02 | უფასო სასადილოს დაფინანსება | 90.7 | 116.8 | 116.8 | - | 130.0 | 130.0 | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 90.7 | 116.8 | 116.8 | - | 130.0 | 130.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 9.7 | 10.0 | 10.0 | - | 10.0 | 10.0 | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 80.9 | 106.8 | 106.8 | | 120.0 | 120.0 | |
| 06 02 03 | დევნილთა დახმარება | 4.8 | 9.1 | 9.1 | - | 10.0 | 10.0 | - |
| | ხარჯები | 4.8 | 9.1 | 9.1 | - | 10.0 | 10.0 | - |
| | საქონელი და მომსახურება | 4.8 | 9.1 | 9.1 | - | 10.0 | 10.0 | - |
| 06 02 04 | ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები ოჯახების დახმარება | 16.4 | - | - | - | - | - | - |
| | ხარჯები | 16.4 | - | - | - | - | - | - |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 16.4 | - | | | - | | |

## თავი IV
## მარეგულირებელი ნორმები

**მუხლი 19. ასიგნებების დაფინანსება**

კასპის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

**მუხლი 20. ასიგნებების გადანაწილება**

კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

**მუხლი 21. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა**

კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 22. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები**

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

**მუხლი 23. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის**

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 175,0 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფებამოსილების განსახორციელებლად.

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 74,0 ათასი ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 101,0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 24. სარეზერვო ფონდი**

2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 50,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.